საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

არქიტექტურის რესტავრაცია

პროგრამის ხელმძღვანელი:

კახა ხიმშიაშვილი

თსსა ასოცირებული პროფესორი

დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს სხდომაზე
2023 წლის 1 სექტემბერს, ოქმი №32

ფართო სფერო (მიმართულება): 07. ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა.
Engineering, Manufacturing and Construction

ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა): 071 ინჟინერია და საინჟინრო საქმე
Engineering and Engineering Trades

დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია): 0739 არქიტექტურა და მშენებლობა – არაკლასიფიცირებული
0739.1.1 არქიტექტურის რესტავრაცია Architectural Restoration

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბაკალავრი არქიტექტურის რესტავრაციაში
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი (ECTS)
სწავლების ხანგრძლივობა – 4 აკადემიური წელი, 8 სემესტრი.

საბაკალავრო პროგრამის მიზნები:

- საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს არქიტექტურ-რესტავრატორი, რომელსაც ექნება რესტავრაცია-კონსერვაციის თეორიის, სამეცნიერო პრინციპების, კანონმდებლობის (ქარტიები და კონვენციები), რესტავრაცია-კონსერვაციის სტრატეგიისა და მეთოდოლოგიის საკითხების ცოდნა;
- ასევე, ეცოდინება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მენეჯმენტის საფუძვლები და რესტავრაციასთან დაკავშირებული სამშენებლო, საინჟინრო საკითხები და ამ ცოდნის საფუძველზე შეარჩევს შესაბამის კონსტრუქციებს, სარესტავრაციო მასალებს, სარესტავრაციო-საკონსერვაციო მეთოდოლოგიას და წინასწაგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად შეადგენს არქიტექტურული ძეგლის სარესტავრაციო პროექტს, რესტავრაცია /კონსერვაციის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და ეთიკის ნორმების დაცვით.

საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პირობები:
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში

- საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე

პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე (ჩასაბარებელი საგნები პრიორიტეტის მიხედვით):

სავალდებულო საგნები: 1. ქართული ენა და ლიტერატურა (კოეფიციენტი 4);
2. უცხო ენა (კოეფიციენტი 4)

არჩევითი საგნები პრიორიტეტების მიხედვით: 1. ისტორია (კოეფიციენტი 4);
2. მათემატიკა (კოეფიციენტი 4); 3.ფიზიკა (კოეფიციენტი 4); 4. ქიმია (კოეფიციენტი 4).

- ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრმაზე ჩარიცხვა ხორციელდება

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

კერძოდ, I. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; II. საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; III. პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

- სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა

მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

სწავლების ხანგრძლივობა – 4 აკადემიური წელი, 8 სემესტრი. აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისაგან. სემესტრის ხანგრძლივობა არის 21 კვირა, მათ შორის: სალექციო – 15, სასესიო – 3 და პრაქტიკის – 2, დამატებითი გამოცდისთვის – 1 კვირა. (თსაა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. მუხლი 15, პუნქტი 15.3)

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს **240 ECTS** და მისი სტრუქტურა ამდაგვარია:

1. **საბაზისო დისციპლინები - 38 ECTS**
2. **სპეციალობის დისციპლინები - 120 ECTS**
   ზოგადი პროფესიული დისციპლინები - 20 ECTS
   პროფესიული დისციპლინები - 28 ECTS
   არიქტექტურის რესტავრაციის პროფესიული დისციპლინები - 72 ECTS
3. **თეორიული დისციპლინები - 52 ECTS**
4. **არჩევითი საგნები - 20 ECTS**
5. **საბაკალავრო ნაშრომი - 10 ECTS**